ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№ 21

ქ. თბილისი; 12 ივნისი, 2018 წ. 11:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ელენე ოზაშვილი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვალერი ჭიღლაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ბაგრატიონი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მერაბ მამულაშვილი

სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილე - თამარ გვიჩიანი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - ეკა მაძღარაშვილი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გალაქტიონ ბუაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქ. თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს № 3-ში (საკადასტრო კოდი № 01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში, ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის #100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N82-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ: 33001008974) გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს“-ს (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიში (2018 წლის პირველი კვარტალი).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გალაქტიონ ბუაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ვალერი ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ ბატონ გალაქტიონ ბუაძეს აქვს როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება. მისი თქმით, თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი იკავებდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობას, ასევე, იგი იყო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იმედოვნებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურა თავის გამოცდილებას გაუზიარებს ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს და თავისი მოღვაწეობით გამოადგება სრულიად დედაქალაქს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო-თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გალაქტიონ ბუაძის კანდიდატურას და წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - მერაბ მამულაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ბატონმა მერაბ მამულაშვილმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინა განცხადებები და დედაქალაქის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა არაერთი ზარი, რომლითაც მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსების მარშრუტებში ცვლილებების შეტანას.

ბატონი მერაბ მამულაშვილის თქმით, ქ. თბილისის მერიის მიერ სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, „MAN"-ის მარკის ავტობუსებით უკვე განხორციელებული ჩანაცვლებების შედეგად გამოთავისუფლებული მოძრავი შემადგენლობების (დიდი და საშუალო ტევადობის „ბოგდანი"-ს მარკის ავტობუსები) ნაწილი გადანაწილებულ იქნა მოქმედ მარშრუტებზე და ამჟამად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დამატებით მოწოდებულ იქნა სატრანსპორტო საშუალებები, რის საფუძველზე შემუშავდა ახალი მარშრუტები და ცვლილებები განხორციელდა გარკვეულ მარშრუტების მოძრაობის სქემაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქუჩების სახელდებებში გატარებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ცვლილება შედის მარშრუტების გზასავალზე არსებულ ქუჩების დასახელებებში და მარშრუტის გაჩერებების დასახელებებში.

ბატონი მერაბის განმარტებით, შეიქმნა ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის 7 ახალი მარშრუტი. კერძოდ, #57; #58; #63; #64; #67; #74 და #76 მარშრუტები. ასევე, საკითხის წარმომდგენის თქმით, ცვლილება განხორციელდა შემდეგი მარშრუტების *„ავტობუსების რაოდენობის"* ცხრილში: #1 #3 #19 #28 #31 #60 #111 #68 #79. მათ შორის საყურადღებოა, რომ №31 მარშრუტის მოძრაობა დამატებით გაგრძელდება გრიგოლ ვოლსკის ქუჩამდე, რის შემდეგ მობრუნებით იმოძრავებს დადგენილ მარშრუტზე. ასევე, №60 მარშრუტი გაერთიანდა №111 მარშრუტთან და ჩამოყალიბდა: *„მს „ღრმაღელე" - დავით გურამიშვილის გამზირი, გუდამაყრის ქუჩა - ჩარგლის ქუჩა - ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა - უცნობი გმირთა ქუჩა - ბემენოვას ქუჩა - ლიპტოვის ქუჩა - ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა - რკინიგზის გადასასვლელი ხიდი".* ამასთან, №3 და №79 მარშრუტებზე დამატებით განისაზღვრა დიდი ტევადობის სატრანსპორტო საშუალებების მუშაობა.

ბატონმა მერაბ მამულაშვილმა ასევე დეტალურად მიმოიხილა თითოეული მარშრუტის მიმოსვლის სქემაში არსებული ნოვაციები და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები

ემსახურება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებას, მათ კეთილდღეობასა და უსაფრთხო გადაადგილებას.

აზრი გამოთქვეს:

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ; იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრმა - თინათინ ნიბლოშვილმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა რა სახით/რა ფორმით მოხდება მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ბატონმა მერაბ მამულაშვილმა აღნიშნა, რომ მოქალაქეები, რომლებმაც უშუალოდ მომართეს სამსახურს, წერილობითი სახით იქნებიან ინფორმირებულნი განხორციელებული ცვლილებების თაობაზე და ასევე, დამატებით, შესაბამისი რაიონების მაჟორიტარ დეპუტატთა დახმარებით მოხდება სიახლეების დროული მიწოდება მოსახლეობისთვის.

ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა მომხსენებლის მიმართ ასევე დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მიკროავტობუსის ხაზის დამატება გლდანის რაიონში არსებულ გიორგი წმინდას ქუჩისაკენ მიმავალ მარშრუტზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე არის მგზავრთა ძალიან მცირე ნაკადი, შესაბამისად, კიდევ ერთი მიკრო-ავტობუსის მარშრუტის დამატება მიზანშეწონილი ვერ იქნება არსებული ფინანსური საკითხების გათვალისწინებით. თუმცა, დასძინა, რომ მიმდინარეობს გარკვეული მოლაპარაკებები და სამსახურს სურს ავტობუსის (მ3 კატეგორია) მარშრუტის დანიშვნა, რაც ბევრად უკეთესი იქნება მოსახლეობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სამართლებრივად გამართულია, თუმცა სასურველია სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. სსიპ - ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოადგილემ - თამარ გვიჩიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალბატონმა თამარ გვიჩიანმა განმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, როდესაც განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისწინებს კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ის გადამეტებას, დამატებითი პროცედურის სახით ხდება სპეციალურ ზონალურ შეთანხმებაზე აქტის გამოცემა. ხოლო, წარმოდგენილი პროექტით, მსგავსი ფაქტის არსებობის შემთხვევაში (კოეფიციენტის გადამეტება) აღარ იქნება საჭირო დამატებით აქტის გამოცემა, არამედ, გრგ-ს გადამეტებული ნაწილი მიჩნეულ იქნება სპეციალურ ზონალურ შეთანხმებად და შესაბამისი მოსაკრებლის ოდენობის თანხა გადახდილ იქნება ბიუჯეტში, რითიც მოიხსნება გართულებული ბიუროკრატია.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - ეკა მაძღარაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვინაიდან, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ფუნქციები გაიყო და ქალაქ თბილისის ურბანული ნაწილის განვითარება, სწორი ქალაქგეგმარებითი ხედვის ჩამოყალიბება, მიმდინარე ქალაქმშენებლობითი პროცესების მართვა და კონტროლი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის კომპეტენციას, შეიქმნა აუცილებლობა, რომ საბჭოს შესაბამისი საკითხები განხილვისთვის წარუდგინოს ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა.

შესაბამისად, ქალბატონი ეკას თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების“ მე-7 მუხლს ემატება მე-3[1] პუნქტი, კერძოდ:

„3[1]. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმოებაში არსებული და საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების საბჭოზე წარდგენას უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.“

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან, განხორციელებული სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსგან - სპორტის კომპონენტი გაერთიანდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და ჩამოყალიბდა „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო“, საჭიროა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილი №9-34 დადგენილებაში აისახოს ზემოაღნიშნული ცვლილება და დადგენილების სათაურსა და ნორმატიული აქტის დოკუმენტის ტექსტში არსებული ჩანაწერის - „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო“ ნაცვლად მიეთითოს „საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო“.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშების უფლებამოსილება, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 პუნქტში მოცემული ფორმულის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის და/ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიმართვისა და წარდგენილი მონაცემების საფუძველზე, ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებული უნდა იქნეს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ" ქვეპუნქტი, ვინაიდან აღნიშნული ქვეპუნქტი ეხება მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცებას, ხოლო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ხორციელდება არა დებულების დამტკიცება, არამედ ცვლილების შეტანა უკვე დამტკიცებულ დებულებაში.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6-7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსმა - გიორგი ბაგრატიონმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" და "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

ბატონმა გიორგი ბაგრატიონმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცება და შესაბამისად, მოქმედი დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, პროექტის მიღება განპირობებულია, როგორც საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებებით *(“ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 2018 წლის 1 ივლისიდან მუნიციპალიტეტის ორგანოები განახორციელებენ კოდექსის 77[1] (აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება) და 77[2] (ღამის საათებში პიროტექნიკური ნაკეთობის გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირებას)* ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის რეორგანიზაციის შედეგად გამოწვეული ცვლილებებით, რომელთა შედეგადაც, მომხსენებლის განმარტებით, ხსენებულ სამართალდარღვევებზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური, შესაბამისად, ხდება ცვლილებით გათვალისწინებული ფუნქციების ასახვა სამსახურის დებულებაში და ამასთან, მითითებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელების მიზნით ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ცვლილებებიც.

ბატონი **გიორგი ბაგრატიონის** განმარტებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში იფუნქციონირებს 4 (ოთხი) სტრუქტურული ქვედანაყოფი: 2 (ორი) სამმართველო - ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის და მონიტორინგის სამმართველოები. ასევე, 2 (ორი) განყოფილება - სამშენებლო კონტროლისა და ექსპლუატაციის განყოფილება და სამაროლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება. იქმნება 1 (ერთი) ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფი (მონიტორინგის სამმართველო) რომელიც თავის მხრივ შედგება 5 (ხუთი) განყოფილებისგან: რეკლამების მონიტორინგის, ხაზობრივი ნაგებობების მონიტორინგის, გარე-ვაჭრობის მონიტორინგის, ნარჩენების კონტროლის და აკუსტიკური ხმაურის კონტროლის.

მომხსენებლის თქმით, პროექტის მიღება გამოიწვევს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ფონდის ზრდას ყოველ თვეზე 3300 (სამიათას სამასი) ლარის ოდენობით, ვინაიდან, უქმდება 4 (ოთხი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მთავარი სპეციალისტი) საშტატო ერთეული, ხოლო, *“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“* - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პროექტით „დანართი 3“-ში გათვალისწინებულია 1 (ერთი) მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა (სამმართველოს უფროსი) და დამატებით 3 (სამი) მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) საშტატო ერთეული.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მე-7 საკითხთან დაკავშირებით გააჩნია ტექნიკური ხასიათის შენიშვნა, კერძოდ, ბატონი ლევანის თქმით, ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იქნეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილებების პროექტებს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - ვალერი ჭიღლაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შეახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა განმარტა, რომ არ ხორციელდება არც თანხობრივი და არც რაოდენობრივი ცვლილება საშტატო ნუსხაში. მისი თქმით, არსებული ასიგნებებისა და ვაკანსიების გათვალისწინებით ხდება გამგეობის თანამშრომელთა რაციონალური გადანაწილება.

ბატონი ვალერი ჭიღლაძის თქმით, შემდგომ გეგმავენ რეორგანიზაციას, რომლის ფარგლებშიც, ბრძანების თანახმად, ჩატარდება შესაბამისი პროცედურები და გამოცხადდება კონკურსი.

აზრი გამოთქვა:

ფრაქცია „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა რეორგანიზაციის შემთხვევაში ატესტაციის პროცესი შეეხებათ თუ არა არსებულ თანამშრომლებს.

მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვას და აღნიშნა, რომ ახალი კანონმდებლობის თანახმად, ატესტაცია აღარ არსებობს და შესაბამისად, მოქმედ საჯარო მოხელეებს არ მოუწევთ ატესტაციის გავლა.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტში მითითებული უნდა იქნეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდი და აგრეთვე, უნდა შესწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვარის №10-21 დადგენილების პირველი მუხლის „ი" ქვეპუნქტით დამტკიცებული მე-9 დანართის სათაური.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თაავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა.

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9-10-11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"; "ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს № 3-ში (საკადასტრო კოდი № 01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" და „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებების პროექტები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ალექსეევკას დასახლებაში 2007 წლიდან მცხოვრებ 3 (სამი) პირს გადაეცემა სამი ერთეული ფართი სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად და ჯამში, გადასაცემი ფართი შეადგენს 268 კვ. მ.-ს.

ბატონი ირაკლის თქმით, ასევე, ფონიჭალაში მე-3 მ/რ-ში, N3 კორპუსში 2007 წლიდან მცხოვრებ 15 (თხუთმეტი) პირს გადაეცემა 15 (თხუთმეტი) ერთეული ფართი (ჯამში 942 კვ. მ) და გადაცემა ხდება სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში 2000 წლიდან მცხოვრებ 7 (შვიდი) პირს გადაეცემა 7 (შვიდი) ერთეული ფართი, (ჯამში 606 კვ.მ.) სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად. ამასთან, დასძინა, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში მცხოვრები პირები არიან ასევე, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები და შესაბამისად, ამ ფართის დაკანონებით ისინი უარს ამბობენ სახელმწიფო ვალზე.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულებების სათაურები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ალექსეევკას დასახლებაში (ნაკვეთი 02/022) (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

"ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს № 3-ში (საკადასტრო კოდი № 01.18.13.021.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

„ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩა N133ა-ში (საკადასტრო კოდი: 01.17.14.002.189) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე".

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილი განკარგულებების პროექტებს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საპილოტე“ პროექტისთვის შეირჩა ვარკეთილის მე-3 მასივი, სადაც ძალიან რთული მდგომარეობაა ავარიულ შენობებთან დაკავშირებით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოძიებულ იქნება 30 205 კვ.მ. უძრავი ქონება, სადაც ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ მოხდება საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში შესაძლებელი იქნება დაახლოებით 170 ოჯახის გადაყვანა ახალ კორპუსში, ხოლო, დანარჩენი მშენებლობა განხორციელდება ინვესტორის ინტერესების შესაბამისად.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ შესაბამის კომპანიას წარმოსადგენი ექნება საბანკო გარანტია, წინა სამშენებლო - 100 000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო შემდეგ, თითოეულ კვ. მ.-ზე 450 აშშ დოლარი. ბატონი ირაკლის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი ვერ მოახერხებს მშენებლობის დასრულებას ან გარკვეული სხვა პრობლემები შეექმნება, ქონების მართვის სააგენტო შეძლებს საბანკო გარანტია გამოითხოვოს და მიღებული თანხით *(450 აშშ დოლარი)* მოახდინოს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ფინანსური დაკმაყოფილება. მისი თქმით, კვადრატული ერთეულის თანხა განისაზღვრება ტერიტორიისა და საბაზრო ფასის გათვალისწინებით.

მომხსენებელმა დამატებით აღნიშნა, რომ კორპუსის შერჩევა მოხდა მისი ავარიულობის ხარისხის გათვალისწინებით (უპირატესობა მიენიჭა მე-4 კატეგორიის ავარიულ შენობა-ნაგებობას). ბატონი ირაკლის თქმით, აღნიშნული პროექტის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია კორპუსის ყველა მოსახლის თანხმობა, რადგან თუკი რომელიმე კორპუსის მხრიდან ვერ მიიღებენ ხმათა სრულ რაოდენობას, მოხდება შემდგომი კორპუსის შერჩევა, ვინაიდან, აუცილებელია სრულად დაიცალოს კორპუსი, რათა განხორციელდეს დემონტაჟი და შემდგომ იმავე ტერიტორიისთვის დაისახოს ახალი განვითარების გეგმა.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა კითხვა დასვა მომხსენებლის მიმართ და დაინტერესდა სავარაუდოდ, რამდენი კვ.მ. შეიძლება იყოს ის ფართი, რასაც ინვესტორი გამოიყენებს კომერციული მიზნებისთვის.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ოჯახების დაკმაყოფილებისთვის საჭიროა საერთო ფართის დაახლოებით 12-13%, ხოლო, დანარჩენი უძრავი ქონება იქნება ინვესტორის. ბატონმა ირაკლიმ დასძინა, რომ აღნიშნულ მშენებლობაში მოიაზრება როგორც საცხოვრებელი სახლები, ისე კომერციული დანიშნულების მქონე ფართები.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მერიასა და საქართველოს ეზიდთა კავშირს (უფლებამონაცვლე: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეზიდთა სასულიერო საბჭო საქართველოში, ს/კ 4060548251) შორის 2010 წლის 20 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის #100038804) გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ფარგლებში, ეზიდთა საბჭოს ჰქონდა ვალდებულება, ქურთულ კულტურულ ცენტრში გაეკეთებინა ქართული ენის, ევროპული ენებისა და კომპიუტერის სწავლების კურსები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილი, რომლითაც აღნიშნული ცენტრი აცხადებს, რომ თითოეული მოწაფე რომელიც ამ კულტურულ ცენტრში დადის, სწავლობს ქართულ სკოლაში, სადაც ისინი შეისწავლიან როგორც ქართულ ენას, ასევე შესაბამის უცხო ენებს, ამასთან, დღესდღეობით ახალგაზრდა თაობისთვის კომპიუტერი „უცხო" არ არის. აქედან გამომდინარე, მათ მიერ მოწყობილი კურსებით დაინტერესება იყო ძალიან მცირე. შესაბამისად, ვერ შეძლებს ამ ვალდებულების შესრულება და ითხოვეს არსებული ვალდებულების ჩანაცვლება. კერძოდ, ახალი კურსის ჩამოყალიბება: *„ქურთულ კულტურულ ცენტრში, ქურთული ენისა და ისტორიის, კულტურის, საქართველოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების ისტორიის სწავლების კურსების მოწყობა."*

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შესაძლებლად მიიჩნევს 2010 წლის 20 იანვრის „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი

მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად წარმოდგენას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N82-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ” 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე შეუსრულებლობისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ: 33001008974) გათავისუფლების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზვიად მექვაბიშვილმა განცხადებით მიმართა სააგენტოს და წარმოადგინა შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ (ს/კ 203826645) მიერ 2017 წლის 19 დეკემბერს გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და იმის გათვალისწინებით, რომ შეექმნა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები და ვერ შეძლო სარგებლობის ქირის დროული დაფარვა, მოითხოვა დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ არსებული პირგასამტეხლო არის სიმბოლური თანხა (885 ლარი) თუმცა, ვინაიდან, ხსენებული პირი ფიზიკურად ვერ ახერხებს ამ თანხის გადახდას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამოწვეული პრობლემების გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნევს “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N82-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ” 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებით განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის განთავისუფლებას.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

ასევე, ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ვინაიდან, ხდება ზვიად მექვაბიშვილის გათავისუფლება მხოლოდ 2017 წლის 30 ოქტომბრიდან - 2018 წლის 25 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან და არა მის მიმართ არსებული ყველა ვალდებულებისგან, (კერძოდ, 2017 წლის 12 ოქტომბრიდან - 2017 წლის 30 ოქტომბრამდე დაკისრებული პირგასამტეხლო) მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

""ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს „ქ. თბილისში, საირმის ქუჩა N82-ში მდებარე 7 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.10.15.026.043) პირდაპირი განკარგვის წესით ზვიად მექვაბიშვილისთვის (პ/ნ: 33001008974) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ" 2016 წლის 1 აპრილის №04-1/37 ბრძანებაში განსაზღვრული საიჯარო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის 2017 წლის 30 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 აპრილამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ზვიად მექვაბიშვილის (პ/ნ: 33001008974) გათავისუფლების თაობაზე""

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მერიასა და შპს „აპოლო გ.ს“-ს (ს/კ 202430468) შორის 2009 წლის 13 აგვისტოს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090394425), 2009 წლის 18 დეკემბერს (სანოტარო მოქ. რეგისტრაციის N090870422) და 2010 წლის 29 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შპს „აპოლო გ.ს“ ვალდებული იყო შეძენილი მიწის ნაკვეთები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით, გაეერთიანებინა მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან და შეთანხმებული ქალაქ თბილისის, მირზა შაფის ქუჩის განაშენიანების რეგულირების გეგმის პირობების გათვალისწინებით, გონივრულ ვადებში, უზრუნველეყო მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის განვითარება.

ბატონმა ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მყიდველმა (შპს „აპოლო გ.ს“) სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებით ითხოვა სამსახურს დაეზუსტებინა თუ, რა იგულისხმებოდა მომიჯნავედ არსებული ტერიტორიის განვითარებაში, ხოლო ისინი მზაობას გამოთქვამდნენ განეხორციელებინათ შესაბამისი ვალდებულება. ბატონი ირაკლის თქმით, შპს „აპოლო გ.ს“-ს აშენებს სასტუმროსა და ბიზნეს ცენტრს და ისედაც გეგმავს კეთილმოაწყოს თავისი და მიმდებარე ტერიტორია. შესაბამისად, ხსენებულ შპს-თან მოლაპარაკების შედეგად ხდება ხელშეკრულებაში იმ ვალდებულების დაზუსტება რაც აქამდე ზოგადი ხასიათის იყო.

ბატონი ირაკლის თქმით, კომპანია თანახმაა და იღებს ვალდებულებას მოახდინოს მიმდებარედ არსებული ბოტანიკური ბაღის ძველი შესასვლელის რეაბილიტაცია, (ე.წ. უკანა შესასვლელი) რომელიც ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა დასძინა, რომ კომპანია ზემოაღნიშნულის რეაბილიტაციისათვის გაიღებს 30 000 (ოცაათი ათასი) ლარს, რაც სრულიად საკმარისია ძის სრულად შესაკეთებლად.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სხდომის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - **მარიკა დარჩიას** მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხის ძირითად ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ გენდერული სტრატეგიის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე უფრო ფართო მსჯელობა გაიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე და ვინაიდან, ქალბატონი მარიკა დარჩია არ იმყოფება საქართველოში, თავად წარმოადგენს საკითხს უახლოეს სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიში (2018 წლის პირველი კვარტალი).

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ იურიდიული საქალაქო სამსახური შედგება 5 (ხუთი) განყოფილებისგან: სამართლებრივი აქტების მომზადებისა და ექსპერტიზის; სასამართლოსთან ურთიერთობის; ადმინისტრაციული დავების განხილვისა და სამართლებრივი აქტების მომზადების; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერისა და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების - განყოფილებებისგან.

ბატონი სერგო მოხსენებაში შეეხო თითოეული განყოფილების მიერ გაწეულ საქმიანობას და აღნიშნა, რომ იურიდიულ საქალაქო სამსახურში მომზადდა ან/და ექსპერტიზა ჩაუტარდა დაახლოებით 615 სამართლებრივი აქტის პროექტს, მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 400-მდე განკარგულების პროექტს; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 150-მდე ბრძანების პროექტს; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების 50-მდე პროექტს; საქართველოს მთავრობის დადგენილების/განკარგულების 15-მდე პროექტს.

აღნიშნა, რომ გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და მოხდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია; კომპანია „სიტი პარკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, ასევე, დაიწყო მოქალაქეთათვის, მათ მიერ მრავალი წლის მანძილზე სარგებლობაში არსებული ბინების დაკანონების პროცესი და ა.შ.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ სამსახურმა: ექსპერტიზა ჩაუტარა სხვა უწყებებიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტებს, განიხილა მოქალაქეთა არაერთი განცხადება. ასევე, მისი თქმით, (ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში (OGP), მიმდინარე წლის თებერვლის თვიდან, ამოქმედდა პროექტი - „შენი იდეა ქალაქის მერს“, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, idea.tbilisi.gov.ge ვებ-გვერდის მეშვეობით, დააფიქსიროს ქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე საკუთარი იდეა. თბილისის მოსახლეობის მხრიდან სათანადო ხმების (2500 ხმა) დაგროვების შემთხვევაში, იდეა განსახილველად ეგზავნება მერს).

იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა წარმოადგინა სტატისტიკური მონაცემებიც და აღნიშნა, რომ სამსახურში შემოსულ ყველა განცხადებას პასუხი გაეცა კანონმდებლობით

დადგენილ ვადაში და არ ფიქსირდება განცხადებაზე კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით გაცემული პასუხის ერთი შემთხვევაც კი.

ბატონმა სერგომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მომსახურების განყოფილებაში 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით შემოსულია 1298 განცხადება.

აღნიშნა, რომ 2018 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი და მარტი) ჩატარდა 14 კომისიის სხდომა და განხილულ იქნა 795 განცხადება. მათ შორის თანხმობა - 193, უარი - 293, გადადება -301 და სხვადასხვა 8.

მომხსენებელი შეეხო სასამართლოსთან ურთიერთობის განყოფილების საქმიანობას და აღნიშნა, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის მდგომარეობით შემოსულმა საქმეების რაოდენობამ შეადგინა 126 ერთეული.

მისი თქმით, სამსახურმა მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტ სასამართლო პროცესში; მომზადდა 400-ზე მეტი საპროცესო დოკუმენტაცია და 380-მდე წერილობითი კორესპონდენცია.

ანგარიშის წარმომდგენის თქმით, მიმდინარე სასამართლო დავების სტატისტიკის გაანალიზებისას ფიქსირდება დადებითი ბალანსი, კერძოდ, 168 მოგებული საქმე - 77 წაგებული საქმის წინააღმდეგ.

ანგარიშის წარმომდგენი შეეხო ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობას და აღნიშნა, რომ შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობა შედგენს 358-ს. ხოლო, საანგარიშო პერიოდში გამოიცა 96 ბრძანება, რომელთაგან: დაკმაყოფილდა - 36 საჩივარი, არ დაკმაყოფილდა - 41 საჩივარი და განუსილველი დარჩა 10 საჩივარი.

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ კითხვა დავა მომხსენებლის მიმართ და დაინტერესდა, თუ, როგორ ჰყოფნის სამსახურს საკადრო რესურსი ამ კოლოსალური რაოდენობის საჩივრის ვადის ფარგლებში განსახილველად.

ბატონმა სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ საკამოდ რთულია თუმცა, თანამშრომლები თავდაუზოგავად შრომობენ, რათა არსებულ ვადებში მოახდინონ შესაბამისი რეაგირება. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ აქვთ თავისუფალი ვაკანსიები და დასძინა, რომ ჩატარებული კონკურსის მიუხედავად ვერ მოხდა კადრების შერჩევა, სწორედ ამიტომ, უახლოეს მომავალში გამოაცხადებენ ხელახალ კონკურსს და იმედოვნებს, შერჩეულ ახალ კადრებთან ერთად ბევრად შემსუბუქდება არსებულ თანამშრომელთა დატვირთვაც. ბატონი სერგოს განმარტებით, ამ ეტაპზე თავისუფალია დაახლოებით 5 (ხუთი) ერთეული ვაკანსია.

ასევე, ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა ქალბატონმა ელენე ოზაშვილმა მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რა კატეგორიის დავები ჭარბობს სამსახურში და არის თუ არა მათ შორის შრომითი დავების დიდი რაოდენობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი დავები არის არქიტექტურის მიმართულებით, ბატონმა სერგომ ზუსტი ციფრიც დაასახელა და აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც, განხორციელდა მასშტაბური რეორგანიზაცია, მერიის მასშტაბით არსებობს მხოლოდ - 1 (ერთი) საჩივარი, ხოლო, გამგეობის მასშტაბით - მხოლოდ 2 (ორი). ყველა სხვა შრომითი დავა მისი თქმით, არის ძველი, მათ შორის 2005 წლიდან გამოყოლილი. ხოლო, ჯამში არსებული შრომითი დავების რაოდენობა შეადგენს 30-ს. მიმდინარე პერიოდში ფიქსირდება 4 წაგებული და 4 მოგებული დავა.

სხდომის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ბატონი სერგოს მიერ ნახსენები სტატისტიკა შრომით დავებთან დაკავშირებით ცალსახად დადებითად შეიძლება შეფასდეს, რადგან, მასშტაბური რეორგანიზაციის გათვალისწინებით ეს არის საჩივრების ძალიან დაბალი რაოდენობა, რაც მიუთითებს იმას, რომ რეორგანიზაციას არ ჰქონია ხარვეზები და კარგად ჩატარდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი თინათინ კასრაძე